

არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თავისებურებანი სისხლის სამართლის პროცესში

ირინე ბოხაშვილი

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

არასრულწლოვანი ბრალდებული და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ყოველთვის აქტუალურია საზოგადოებისთვის. იგი ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილია.

2015 წლის 12 ივნისს მიღებული იქნა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ (შემდგომში – ამკ) და საქართველო შეუერთდა ქვეყანებს, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (შიდასახელმწიფოებრივ დონეზე) წესრიგდება დამოუკიდებელი აქტით.

ახლახანს, 2020 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რაც უფრო განამტკიცებს არასრულწლოვანთა უფლებების უზრუნველყოფის ურყევ პოლიტიკას.

არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხი ნაშრომში განხილულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციების, ქვეყანის სამართლო პრაქტიკისა და სტატისტიკის გათვალისწინებით.

არასრულწლოვანი ბრალდებულის, როგორც ბავშვის უფლებების სპეციფიკური მიმართულება უფრო საინტერესო ხდება მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას.

ამკ-ით გათვალისწინებულია არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი. თუმცა, მიზანშეწონილია რამდენიმე ცვლილების განხორციელება: ელექტრონული მონიტორინგის ძირითად სახედ დაწესება; დამატებითი შეზღუდვების მაგალითების შემუშავება; მოსამართლის დისკრეცია საპატიმრო გირაოს დროს; მეთვალყურეობის ორივე მშობელზე დაწესება; არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის მხედველობაში მისაღებ გარემოებად მითითება და სხვა.

პრაქტიკა და სტატისტიკა ცხადყოფს, რომ კვლავ აქტიურია არასაპატიმრო და მათ შორის, მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემის უპირატესად გამოყენების საკითხი.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას მნიშვნელოვანია ამ პროცესში ჩართული პირების სპეციალიზაცია და ამ საკანონმდებლო დათქმის ეფექტიანი რეალიზება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოქმედი სისტემა მოითხოვს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამის განვითარებას და მუდმივ სრულყოფას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, აღკვეთის ღონისძიება, საუკეთესო ინტერესი

არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თავისებურებანი სისხლის სამართლის პროცესში

ირინე ბოხაშვილი

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

არასრულწლოვანი ბრალდებული, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, როგორც მართლმსაჯულების ყველაზე „მძიმე“ ფორმა ყოველთვის აქტიური დაკვირვების საგანია საზოგადოებაში და ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური შემადგენელი ნაწილია მუდამ.

2015 წლის 12 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რითაც საქართველო შეუერთდა ქვეყანათა რიცხვს, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (შიდასახელმწიფოებრივ დონეზე) წესრიგდება დამოუკიდებელი სპეციალური სამართლებრივი აქტებით.

ახლახანს, 2020 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (მიღებული 2019 წლის 20 სექტემბერს), რაც კიდევ უფრო განამტკიცებს სახელმწიფოს უწყევ, კონსტრუქციულ პოლიტიკას არასრულწლოვანთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფი მყარი მხარდამჭერი სისტემის ფორმირების კუთხით.

შემოთავაზებული ნაშრომი შეეხება არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თავისებურებებს, რა დროსაც, საკითხი განხილულია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული რეგულაციების, ქვეყანაში არსებული სასამართლო პრაქტიკის და სტატისტიკის გათვალისწინებით.

არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები, როგორც სამართალში ბავშვის უფლებების სპეციფიკური მიმართულება, კიდევ უფრო კონკრეტული ინტერესის საგანი ხდება მისთვის (არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის) აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულია მთელი რიგი თავისებურებანი, რაც უშუალოდ არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას არის დადგენილი. თუმცა, ამ მიმართულებით მიზანშეწონილია რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

სასამართლო პრაქტიკა და სტატისტიკა ცხადყოფს, რომ კვლავ აქტიურია საკითხი არასრულწლოვანის მიმართ არასაპატიმრო და ამ არასაპატიმრო ღონისძიებათა შორის კონკრეტული, არასრულწლოვანის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემის უპირატესად გამოყენებასთან დაკავშირებით.¹

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პროცესში ჩართული პირების სპეციალიზაცია და ამ საკანონმდებლო დათქმის ეფექტიანი რეალიზება. აღნიშნული გულისხმობს პროკურორის, ადვოკატის და მოსამართლის სწორ მიდგომას, პროკურორის მხრიდან შუამდგომლობის დაყენებისას, ადვოკატის მხრიდან შუამდგომლობაზე სწორი პოზიციის შერჩევას და მოსამართლის მიერ აღკვეთის შეფარდების/შეფარდებაზე უარის შესახებ განჩინების დასაბუთებისას. უდავოა, რომ მთელი ამ პროცესის ფოკუს ცენტრს ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს.

¹ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული „ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, 2019“, ელექტრონულად ხელმისაწვდომია: საჯარო ინფორმაცია (pog.gov.ge) (ნაშრომის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია აღნიშნული სტატისტიკის ავტორისეული მიმოხილვა და შეფასება).

ნაშრომში გაზიარებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადება / რეკომენდაცია, რაც ხელს შეუწყობს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფას არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სისხლის სამართლის პროცესში.

1. არასრულწლოვანი ბრალდებული, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (შემდგომში – ამკ) მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანად ითვლება 18 წელს მიუღწეველი პირი. აქვე, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – 14-დან – 18 წლამდე პირი. რაც შეეხება კანონთან კონფლიქტში ყოფნას, ამკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად, ამ ვითარებას მიეკუთვნება, ასევე, შემთხვევა, როდესაც სახეზეა დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა დანაშაული ჩაიდინა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, დასაბუთებული ვარაუდი დანაშაულის შესაძლო ჩადენას ნიშნავს. ბავშვის უფლებათა კოდექსის (შემდგომში – ბუკ) მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, 18 წლამდე ყველა არასრულწლოვანი – ბავშვია და ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით – 10-დან – 18 წლამდე ყველა ბავშვი – მოზარდია.

ამკ-ით და ბუკ-ით გათვალისწინებული ასაკობრივი და ტერმინოლოგიური განსაზღვრებები სრულად შეესაბამება და პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებსა და მიდგომებს არასრულწლოვანების დადგენისა და ბავშვის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით. მაგალითად: „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლი (1989 წლის 20 ნოემბერი); „გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებადაღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის“, მე-11 წესის „ა“ ქ/პუნქტი (1990 წლის 14 დეკემბერი).

ზემოთ წარმოდგენილ ნორმათა ანალიზის შედეგად შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის, როგორც ფორმალური სამართლებრივი მდგომარეობის უკან, სინამდვილეში, დგას მოზარდი ბავშვი, რომლის მიმართ ჯერ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მან შესაძლოა კანონი დაარღვია. მყარ პოზიციას უნდა წარმოადგენდეს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სწორედ ამ განმარტებით და განწყობით ხელმძღვანელობდეს აღნიშნულ პროცესში ჩართული ყველა პირი და უმთავრესად მოსამართლე, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე დისკრეციული უფლებამოსილების მქონე პირი.

2. აღკვეთის ღონისძიებათა სისტემა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით

ამკ-ის თავი IX აღკვეთის ღონისძიებებს შეეხება და განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიებათა სახეებს, რა დროსაც მოკლედ აღწერს მათი არასრულწლოვანის მიმართ გამოყენების თავისებურებებს.

ამკ-ის მე-60 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შესაძლოა გამოყენებული იყოს: მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო და პატიმრობა.

მიზანშეწონილია, არასრულწლოვანთან დაკავშირებით სსსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული მონიტორინგის, რიგ შემთხვევებში, ძირითად აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენების შესაძლებლობა, რასაც, ასევე, დადებითად აფასებენ პრაქტიკოსი მოსამართლეები (საია, 2020).

ამკ-ის მიერ შემოთავაზებული აღკვეთის ღონისძიებათა სისტემა საპატიმრო და არასაპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიებებისაგან შედგება, სადაც საპატიმრო ხასიათის ღონისძიებას მხოლოდ ერთი, პატიმრობა წარმოადგენს და დანარჩენი ყველა ღონისძიება არასაპატიმრო ხასიათისაა.

2.1. მეთვალყურეობაში გადაცემა/პირადი თავდებობა

მეთვალყურეობაში გადაცემა არასრულწლოვანის, როგორც სპეციალური სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ ალტერნატიულ აღკვეთის ღონისძიების სახეს წარმოადგენს. მაშინ, როდესაც

არ დგას საკითხი, რომ არასრულწლოვნის მიმართ არ იყოს გამოყენებული რომელიმე სახის აღკვეთის ღონისძიება ან/და როდესაც შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ არ არის საკმარისი აღკვეთის ღონისძიების მიზნის მისაღწევად, ყოველთვის უპირატესად უნდა განიხილებოდეს სწორედ მეთვალყურეობაში გადაცემის შესაძლებლობა და მხოლოდ მისი მყარად გამორიცხვისას იყოს გამოყენებული სხვა აღკვეთის ღონისძიების სახე. მეთვალყურეობაში გადაცემას აქვს თავისი სპეციფიური ნიშნები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მისი ორმაგი ნებაყოფლობითობაა, რაც გულისხმობს როგორც არასრულწლოვნის, ისე იმ პირის თანხმობას, რომელსაც იგი მეთვალყურეობაში გადაეცემა (ამკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, პირს, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობს, ყოველთვის აქვს უფლება უარი თქვას მეთვალყურეობაზე, თუ მიიჩნევს, რომ ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას. აღნიშნული დათქმა, როგორც უკან დახვევის საშუალება, მაქსიმალურად წამახალისებელ გარემოს ქმნის, რომ ყველა შესაძლო შემთხვევაში არსებობდეს პირის განწყობა, თავი არ შეიკავოს თანხმობის განცხადებისაგან. თუმცა, სასამართლოს უწევს თანხმობების დადასტურების გარდა, გულდასმით შეისწავლოს მეთვალყურეობის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, მაგალითად, თავისუფალი დრო, ჯანმრთელობა და სხვა და რიც შემთხვევებში, სწორედ აღნიშნული გახდება ხოლმე სასამართლოს მხრიდან მეთვალყურეობაში გადაცემის გამოყენებაზე უარის საფუძველი.

თავისი არსითა და სიმკაცრით მეთვალყურეობაში გადაცემის თანაზომიერია პირადი თავდებობა იმ განსხვავებით, რომ პირადი თავდებობა არ წარმოადგენს უშუალოდ არასრულწლოვანზე, როგორც სპეციალურ სუბიექტზე გაწერილ ღონისძიებას. ამკ არ შეიცავს პირადი თავდებობის შესახებ რაიმე თავისებურებას და იგულისხმება, რომ არასრულწლოვნის მიმართ პირადი თავდებობის გამოყენებისას პირდაპირ სსსკ-ის შესაბამისი, 203-ე მუხლით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამ კუთხით, შესაძლოა, სადავოც კი იყოს პირადი თავდებობის, როგორც არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების სახედ გათვალისწინება. მას ერთგვარი ჩამანაცვლებელი დანიშნულება აქვს და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მეთვალყურეობაში გადაცემა ვერ გამოიყენება მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის (მეთვალყურეობის) გამოყენების საფუძველი სახეზეა. მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემის უნიკალურობა, სწორედ მის შინაარსშია, სადაც მშობელსა და შვილს შორის არსებული კავშირი თავისი სპეციფიური თვისებით ხასიათდება. ამ ჩანაცვლების მიზეზი შეიძლება სხვადასხვა გარემოება გახდეს: არ არსებობს მშობლ(ებ)ის ან თავად არასრულწლოვანის ნება; ჯანმრთელობის პრობლემა; თავისუფალი დროის არქონა და სხვა. ასევე, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირდაპირ პირადი თავდებობის გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით (დამატებით სასამართლო სხდომის თავიდან არიდებით), მაგალითად, როდესაც არასრულწლოვანს მცირე ხანში უსრულდება 18 წელი და საჭირო რომ არ გახდეს მშობლის მეთვალყურეობის შეცვლა (მეიშვილი და ჯორბენაძე, 2007), მით უმეტეს, რომ კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას მშობლის მიმართ, რომ თუნდაც თავად მშობელი იყოს პირადი თავდები (თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 08 ოქტომბრის განჩინება).

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებით, სადაც მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემას სწორედ პირადი თავდებობის სპეციფიურ ნაირსახეობად განიხილება, ამკ-ის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი, სადაც მეთვალყურეობაში გადაცემა მხოლოდ ერთ მშობელზე მოიაზრება, არაეფექტიანია და გაუმართლებლად ზღუდავს ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლო შემთხვევებს. თავად პირადი თავდებობის ნიშანი გახლავთ, სწორედ, სახლო პირთა სიმრავლე (სსსკ-ის 203-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილები), რაც მხარის მიერ სასამართლო პრაქტიკაშიც პირდაპირი მნიშვნელობით გაიგება და ხშირად პირად თავდებობა წარმოდგენილი სია რამდენიმე ათეულს სცილდება ხოლმე.

მიზანშეწონილია, ამკ-ის 61-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები: „აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა“ შეიცვალოს სიტყვებით: „აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან რამდენიმემ“, რაც საშუალებას მისცემს სასამართლოს, იმსჯელოს არა მხოლოდ ერთი პირის მხრიდან მეთვალყურეობის განხორციელების შესაძლებლობაზე, არამედ, მაგალითად, თუნდაც ორივე მშობელმა ან რამდენიმე ახლო ნათესავმა ერთად, რომ მეთვალყურეობა უზრუნველყოს არასრულწლოვანზე.

2.2. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

ამკ-ის და სსსკ-ის თანახმად, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ აღკვეთის ღონისძიების დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს და გამოირჩევა თავისი ნაკლებად მკაცრი შინაარსით: არ არის მე-3 პირის ჩართულობა (მაგალითად, მეთვალყურეობის ან თავდებობის განხორციელების მსგავსად), არ არის რაიმე სახის ფინანსური უზრუნველყოფა (მაგალითად, როგორც გირაოს შემთხვევაში) და მითუმეტეს არ არის სახეზე თავისუფლების აღკვეთა (რაც მხოლოდ პატიმრობისთვის არის დამახასიათებელი). ამკ-ის 62-ე მუხლი საგრძნობლად აფართოვებს აღნიშნული ღონისძიების გამოყენების არეალს არასრულწლოვანის მიმართ და შესაძლებლად მიიჩნევს მის შეფარდებას, თუ ჩადენილია ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობით დანაშაული. შედარებისათვის, სსსკ-ის 202-ე მუხლის თანახმად, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თ/აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით. ამკ-ის ამგვარი მიდგომა, გარდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიურობისა, გამართლებული უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ რაც შეიძლება ფართო არჩევანი შექმნას არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებისა, რაც გარდაუვლად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით არასრულწლოვანთან მიმართებით. თავისთავად ცხადია, კანონის ამგვარი დათქმა არ გულისხმობს ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში უპირობოდ მხოლოდ ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას და საჭიროა, რომ სახეზე იყოს მოცემული ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები.²

2.3. გირაო

ამკ-ის 63-ე მუხლის შინაარსის სახით წარმოდგენილია, ფაქტობრივად, სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება იმ ცვლილებით, რომ გირაოს თანხა შეიძლება ნებისმიერი ოდენობით განისაზღვროს. ესე იგი, გირაოსთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი პროცედურა არასრულწლოვანის მიმართ სსსკ-ის შესაბამისი, მე-200 მუხლის თანახმად სრულდება. წარმოდგენილ ნაშრომში გირაოსთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი აქტუალური საკითხია განხილული და გამოთქმულია მოსაზრება ე.წ. „საპატიმრო გირაოსთან“ დაკავშირებით (სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი). გარდა ზოგადად აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას აღიარებული პრინციპისა, რომ პატიმრობა გამოყენებული იყოს მხოლოდ როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება, როდესაც ის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მიზნის მიღწევისა, არასრულწლოვანთან მიმართებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხერხი და საშუალება იყოს გამოყენებული, რათა თავიდან იქნეს არიდებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება (პეკინის წესები, მე-10 წესი; ჰამილტონი, 2011). საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან სინთეზური გაანალიზების შედეგად, შესაძლოა მოსაზრების განვითარება, რომ ამკ-ის 63-ე მუხლის ფარგლებში გაწერილი იყოს მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილება, რომ დაკავებული არასრულწლოვანის მიმართ გირაოს გამოყენების შემთხვევაში, თავისუფლად გადაწყვიტოს გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფის საკითხი, განსხვავებით სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილისა, რომლის მრავალნაირი განმარტება გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში (ბოხაშვილი, 2017; ნიპარიშვილი, 2016). მოსამართლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ გირაოს გამოყენების შემთხვევაში დარბაზიდან გაათავისუფლოს დაკავებული არასრულწლოვანი, თუ მიიჩნევს, რომ არ არსებობს გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფის გარდაუვალი საჭიროება.

2.4. პატიმრობა

პატიმრობა, როგორც ყველაზე მკაცრი და აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის ჭეშმარიტად უკიდურესი საშუალებაა, კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით გამოიყენება არასრულწლოვანის მიმართ და ჭეშმარიტად უკიდურესი საშუალებაა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის.³

² საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2019, 87-90.

³ მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება პატიმრობის გაუქმებისა და არასრულწლოვანის მიმართ გირაოს გამოყენების შესახებ, მოსამართლე დასაბუთებულად მსჯელობს პატიმრობის საგამონაკლისობაზე, არასრულწლოვანის მიმართ საკითხის განსაკუთრებული სიფრთხილით განხილვაზე,

სწორედ ასეთი მიდგომა და სტანდარტია აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით (ბოხაშვილი და ბენიძე, 2009; გაბისონია, 2003; შალიკაშვილი და მიქანაძე, 2016), რასაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაც ეთანხმება. ამკ-ის მე-9 მუხლით აღიარებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ურყევი დებულება – პატიმრობის, მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების შესახებ. ამკ-ის 64-ე მუხლი არასრულწლოვანის მიმართ პატიმრობის გამოყენების თავისებურებებს ითვალისწინებს, რა დროსაც სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებულ ფორმალურ საფუძვლებს განსაზღვრავს. ამ საფუძვლებიდან მეტად საყურადღებოა ამკ-ის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქ/პუნქტები, რომლის თანახმად, პატიმრობის გამოყენება არასრულწლოვანის მიმართ შეზღუდულია წინაპირობით, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს თ/აღკვეთა და, ასევე, პატიმრობის მიზანი უნდა აღემატებოდეს არასრულწლოვანის თავისუფლების ინტერესს. ამკ-ის 64-ე მუხლით არასრულწლოვანის პატიმრობაში ყოფნის ვადების „საშეღავათო სქემა“ გაწერილი, რაც არსებითად განსხვავდება სსსკ-ის დათქმებისაგან. დაკავებიდან წინასასამართლო სხდომამდე პატიმრობის მაქსიმალური ვადა არასრულწლოვანის შემთხვევაში 40 დღეს შეადგენს, რომლის გასვლის შემდეგ იგი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან (ამკ-ის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს (ამკ-ის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ამკ-ის 64-ე მუხლის მე-3 ნაწილი გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხს შეეხება პატიმრობაზე სასამართლო კონტროლის ფარგლებში. აღნიშნული ნორმა შეიცავს ხარვეზს და ცვლილებებს საჭიროებს. ამკ-ის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო პირველი წინასასამართლო სხდომიდან დაწყებული ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც ამოწმებს პატიმრობის ძალაში დატოვებას. ნათელია, რომ კანონმდებელი შემოწმებებს შორის მაქსიმალურ ინტერვალს – 20 დღეს განსაზღვრავს და მის ათვლას მხოლოდ პირველი წინასასამართლო სხდომიდან ითვალისწინებს. აქ მოწესრიგების გარეთ რჩება შემთხვევა, როდესაც გამოძიებაში პატიმრობის ვადა 20 დღეს აღემატება. მიზანშეწონილია, რომ ამკ-ის 64-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს ჩანაწერი, რომლის თანახმად, (მსგავსად სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-8 ნაწილისა) თუ არასრულწლოვანის პატიმრობის ვადა დაკავებიდან წინასასამართლო სხდომამდე 20 დღეს აღემატება, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი.

2.5. სხვა ღონისძიებები

ამკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შესაძლებელია, რომ არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ასევე, გამოყენებული იყოს სხვა ღონისძიებები, რასაც სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს. ზოგადად, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებები დამატებითი შეზღუდვების სახეს ატარებს და მოქნილ სისტემას ქმნის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების წახალისების თვალსაზრისით (გიორგაძე (რედ.), 2015). სასურველი იქნებოდა თავად ამკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელს უშუალოდ არასრულწლოვანის თავისებურებების გათვალისწინებით შეემუშავებინა და წარმოედგინა თუნდაც მცირე ჩამონათვალი აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად გამოსაყენებელი სხვა შეზღუდვებისა (მაგალითად, კონკრეტულად განესაზღვრა ღამის საათები, რა დროსაც არასრულწლოვანს აკრძალვოდა საცხოვრებელი სახლის დატოვება; ინტერნეტ საიტებზე წვდომის შეზღუდვა; მობილური ტელეფონით სარგებლობის აკრძალვა ან/და პირიქით, მობილურით ან სხვა საშუალებით მშობელთან ან სხვა ოჯახის წევრთან კომუნიკაციის ვალდებულება სახლის გარეთ ყოფნისას და სხვა), რაც არ გამორიცხავდა, ამავე დროს, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედებას და ამასთან, გარკვეული მიმართულების მიმცემი იქნებოდა სასამართლოსათვის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალური მიდგომით (ამკ-ის მე-14 მუხლი) განესაზღვრა ნებისმიერი სხვა ღონისძიება.

3. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წესი და საფუძვლები

ამკ-სი არ განსაზღვრავს რაიმე დამოუკიდებელ წესსა და საფუძვლებს არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისა და, შესაბამისად, ამკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება სსსკ-ის შესაბამისი ნორმები. თუმცა, ვინაიდან

რა დროსაც მოიშველიებს საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებსა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

ამკ-სი აღგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპებს, აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებისას სსსკ-ის ნორმები სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით და შესაბამისად გამოიყენება.

სსსკ-ის 198-ე მუხლი განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებს, ხოლო, ამავე კოდექსის 206-ე მუხლი ემსახურება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების წესის დადგენას. სწორედ ამ მუხლებით ხელმძღვანელობს სასამართლო არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას.

თუ ამკ აღკვეთის ღონისძიებათა თავში არ გაითვალისწინებს არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დამოუკიდებელ წესსა და საფუძვლებს, მიზანშეწონილია ჩანაწერის სახით დაემატოს თუნდაც მხოლოდ ის თავისებურებანი, რაც უშუალოდ არასრულწლოვანთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები. მაგალითად, 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოს მხრიდან გასათვალისწინებელ გარემოებებს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ტოვებს საშუალებას სასამართლომ ნორმაში ჩამოთვლილი გარემოებების გარდა სხვა გარემოებებიც გაითვალისწინოს, თუნდაც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის, როგორც ერთ ერთი უმთავრესი გარემოებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებითი პრინციპული თავისებურების შესახებ (ამკ-ის მე-4 მუხლი, ბუკ-ის მე-13 მუხლი) დამოუკიდებლად უნდა იყოს აღნიშნული ამკ-ის IX თავში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, აღნიშვნა, რომ სასამართლო არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას ხელმძღვანელობს ამკ-ის მე-9, მე-14 მუხლებით გათვალისწინებული დებულებებით. აღსანიშნავია, აგრეთვე ბუკ-ის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ბავშვის უფლება სამართლიან სასამართლოზე, რომელიც ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული. აქვე, ამკ-სით გათვალისწინებულია არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ინსტიტუტი (მუხლი 27). მართალია აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არ წარმოადგენს სტადიას, რომელზედაც სავალდებულოა გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური ანგარიშის მომზადება / გამოყენება, მაგრამ, სასურველია, რომ ამკ-ის IX თავი შეიცავდეს რეკომენდაციას, რომ არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას გამოყენებული იყოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მით უმეტეს, რომ ამკ-ის 27-ე მუხლის მე-8 ნაწილი მხოლოდ წაახალისებს აღნიშნულ მიდგომას).

დღევანდელი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მხარეები და სასამართლო საკუთარი პოზიციისა თუ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ყურადღებას გაამახვილებენ არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიებისას პატიმრობის საგამონაკლისობაზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესსა და სხვა ინდივიდუალურ მახასიათებლებზე (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენი) და ამ პროცესს გაცილებით ეფექტიანს გახდიდა და სავალდებულო ძალას შემატებდა ზემოთ შემოთავაზებული წინადადება.

4. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის ანალიზი არასრულწლოვან ბრალდებულთა სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ

პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2019 წელს სულ ბრალდებული იყო 330 არასრულწლოვანი და მათგან 130-ის მიმართ დაკავების ღონისძიება იყო გამოყენებული, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და 39% შეადგენს (შედარებისათვის, 2018 წელს იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 24% შეადგენდა). ეს იმ ვითარების ფონზე, როდესაც დაკავებულთა უმრავლესობას მძიმე (79%) და ნაკლებად მძიმე (14%) დანაშაულის ჩადენა ედებოდა ბრალად და მხოლოდ 9 (7%) შემთხვევა იყო, როდესაც არასრულწლოვანის მიმართ დევნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამო დაიწყო. არასრულწლოვანებს, უმეტეს შემთხვევაში, გადაუდებელი ვითარების პირობებში აკავებენ (130-დან 118 შემთხვევა) და საფუძვლად სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქ/პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას: „შესაძლოა მიიმალოს“ გამოიყენებენ. საყურადღებოა, რომ დაკავებულთა 130 პირიდან 40 პირი განთავისუფლდა და მათ შორის, 32 შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილებით.

დაკავების გამოყენება არასრულწლოვანის მიმართ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და ზეგავლენას ახდენს შემდგომში მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასა და მისი კონკრეტული სახის შერჩევაზე.

კვლევის თანახმად, 2019 წელს, პროკურატურამ 330-დან 295 არასრულწლოვანზე შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და აქედან 126 შემთხვევაში (38%) პროკურორი შუამდგომლობდა პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებაზე, რაც უმეტეს შემთხვევაში დაკმაყოფილდა სასამართლოს მხრიდან – 87 (69%). დანარჩენი პირების მიმართ სასამართლომ უფრო ხშირად გირაო გამოიყენა – 37 (აქედან 1 – საპატიმრო გირაო) და მხოლოდ 2 პირის მიმართ იქნა გამოყენებული მეთვალყურეობაში გადაცემა. ამას ემატება გირაოს მოთხოვნის 100 შუამდგომლობიდან ე.წ. საპატიმრო გირაოს მოთხოვნის 8 შემთხვევა, თუმცა სასამართლომ მხოლოდ 3 შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დანარჩენი პირების მიმართ სხვადასხვა სახის ნაკლებად მკაცრი სახე შეარჩია (აქედან 1 შემთხვევაში დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული აღარ ყოფილა).

საინტერესოა გირაოს შუამდგომლობების გადაწყვეტის სტატისტიკა. პროკურატურის 92 შუამდგომლობიდან გირაოს შესახებ სასამართლომ მხოლოდ 56 შემთხვევაში დააკმაყოფილა მოთხოვნა. გირაოს არგამოყენების შემთხვევების უმეტესობა არასრულწლოვანთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე მოდის – 21 შემთხვევა. ასევე საყურადღებოა, რომ 9 შემთხვევაში სასამართლომ საერთოდ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება და მოთხოვნილიდან მხოლოდ სამ-სამ შემთხვევაში მიმართა მეთვალყურეობაში გადაცემას ან შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

მეთვალყურეობაში გადაცემა 60 არასრულწლოვნის მიმართ იქნა მოთხოვნილი, რაც თითქმის სრულად დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ – 56 შემთხვევა. დანარჩენი 4 პირიდან 3-ის მიმართ არ გამოყენებულა აღკვეთის ღონისძიება (აქედან 2 შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება) და 1 პირს შეეფარდა გირაო.

და ბოლოს, მხოლოდ 9 შემთხვევაში პროკურორმა მიმართა შუამდგომლობით სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულიყო შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. სასამართლომ აქედან 8 შემთხვევაში დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ხოლო 1 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასამართლო, ხშირად, სრულად (57%) ან ნაწილობრივ (22%) იზიარებს პროკურატურის პოზიციას ან თავად უფარდებს აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეს (14%). მიუხედავად ამისა, დადებითად უნდა აღინიშნოს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის შემთხვევათა არსებული სტატისტიკისა და პრაქტიკის შესახებ. 330-დან 35 შემთხვევაში თავად პროკურატურამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა საფუძველი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და არც მიუმართავს სასამართლოსათვის, ხოლო, კიდევ 10 შემთხვევაში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის შესახებ.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და სისტემა თანამედროვე სამყაროში არასრულწლოვანთა მზარდ მოთხოვნებსა და საჭიროებებთან თანადროულ, დინამიურ განვითარებას და მუდმივ სრულყოფას მოითხოვს, რაც სახელმწიფოს მხრიდან თითოეულ ბავშვზე ზრუნვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს.⁴ ამ თვალსაზრისით, ნაშრომში შემოთავაზებული ინიციატივები გარკვეულ წვლილს შეიტანს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო თუ პრაქტიკული რეგულირების სრულყოფაში.

⁴ აღნიშნულ საკითხზე მუდმივ დაკვირვებას და ანალიზს ახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდი (2017).

გამოყენებული ლიტერატურა

- ბოხაშვილი, ი. (2017). წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში. სამართლის ჟურნალი, (1) გვ.:289-316.
- ბოხაშვილი, ი., და ბენიძე, მ. (2009). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები. სამართალი, (2) გვ.:35-62.
- გაბისონია, ი. (2003). აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, მერიდიანი.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (“პეკინის წესები”, 1985 წლის 29 ნოემბერი).
- გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის (1990 წლის 14 დეკემბერი).
- გაეროს ბავშვთა ფონდი (2017). ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება. კანონმდებლობის კვლევა. <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf/>
- გიორგაძე, გ. (რედ.) (2015). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. მერიდიანი.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება /<http://library.court.ge/judgements/74072015-03-09.pdf/>
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენი /<http://library.court.ge/judgements/63432017-10-17.pdf/>
- კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“ (1989 წლის 20 ნოემბერი).
- მეიშვილი, ზ., და ჯორბენაძე, ო. (2007). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. თბ.
- ნიპარიშვილი, ბ., (2016). პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება. მართლმსაჯულება და კანონი, (2) გვ. 37-63.
- საია, 2020. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები.თბ.
- საქართველოს გენერალური პროკურატურა (2020). ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, 2019. საჯარო ინფორმაცია (pog.gov.ge)
- საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ (2015 წლის 12 ივნისი).
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (2019 წლის 20 სექტემბერი).
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წლის 09 ოქტომბერი).
- შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. (2016). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.
- IRZ, თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
- ჰამილტონი, ქ. (2011). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. ქართული თარგმანი: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013.
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2019. აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. თბ.